№11/17 27“ თებერვალი” 2017წ.

ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი №78-ში შ.პ.ს. ”საბა +”-ს მიერ აშენდა მრავალსართულიანი, ”ა” და ”ბ” ბლოკებისაგან შემდგარი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი. შენობების პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. ”ესკიზი”-ს მიერ 2005 წელს, რომელიც შეთანხმდა ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან (იხ. ბრძანება №20/150. 02. 03. 2006წ.). გაცემული ბრძანებით (იხ. №20/282) შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ამჟამად აშენებულია:

”ა” ბლოკი (+ 61.00 ნიშნულზე, 11-10 ღერძებში)- 16 მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართული.

”ა” ბლოკი (+ 56.00 ნიშნულზე, 12-6 ღერძებში)- 15 მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართული.

”ბ” ბლოკი (+ 56.00 ნიშნულზე, 5-1 ღერძებში)- 15 მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართული.

მოგვიანებით დამკვეთის მოთხოვნით დამუშავდა კორექტირებული პროექტი, სადაც ”ა” ბლოკის პირველ სადარბაზოს (ნიშნული + 61.00, 12-9 ღერძებში) დაემატა ერთი სართული.

”ა” ბლოკმა განიცადა გარკვეული ცვლილებებიც, კერძოდ:

”ლ” ღერძის გასწვრივ, ღერძებში ”7”-”8”; ”10-”11” ღერძებს შორის, გაუქმდა აივნის კონსოლური ფილები.

-”ო” ღერძის გასწვრივ , ღერძებში ”7”-”8”; ”10”-”11” ღერძებს შორის, შემცირდა აივნის კონსოლური ფილის გეგმითი ზომები.

-”ლ¹” და ”ო” ღერძებთან, ”12” ღერძის გასწვრივ, გაუქმდა Г-სებრი მოხაზულობის აივნის კონსოლური ფილა და მოეწყო შედარებით მცირე ზომის აივნები.

დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებარე ”ა” ბლოკს (+ 52.60 ნიშნულზე, 9-6 ღერძებში) და ”ბ” ბლოკს (+ 52.60 ნიშნულზე , 5-1 ღერძებში) დაემატოს ერთი სრული სართული.

შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ შენობას გააჩნია საკმარისი რესურსი დაშენების შემთხვევაში დამატებითი დატვირთვების ასათვისებლად,

როგორც სტატიკური, ასევე სეისმური ზემოქმედების თვალსაზრისით და შესაძლებლად მიგვაჩნია ”ა”და ”ბ” ბლოკებს დაემატოს ერთი სრული სართული.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი / მ. საველიძე/